

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის
N16 ბინაზე, მოქალაქე სოსო ლელაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N16 ბინაში მცხოვრები მოქალაქე სოსოს ლელაძის წარმომადგენლის ავთანდილ გაგომიძის განცხადება /2013 წლის 10.07 Nგ-7247/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N16 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე სოსო ლელაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N16 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სოსო ლელაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა N22 საცხოვრებელი სახლის N16 ბინაზე /საერთო ფართობი 55,69კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 32,59 კვ.მ, დამხმარე ფართობი 23,10 კვ.მ./ მოქალაქე სოსო ლელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისისმერი

დ.კოპალიანი